



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N18/ნ

4 აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

„დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის  
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის  
საფუძველზე, ვბრძანებ:

#### მუხლი 1

„დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების  
თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009  
წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 20.02.2009წ.,  
470.230.000.22.035.012.810) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული  
№1 დანართის (დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი)  
მე-6 მუხლს:

1. 1<sup>9</sup> პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>10</sup> პუნქტი:

„1<sup>10</sup>. პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისათვის დროებითი შრომისუნარობის  
გამო გასაცემი დახმარების გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მისი თანამდებობრივი სარგო და  
წელთა ნამსახურობის დანამატი.“.

2. მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები (ამ მუხლის 1<sup>1</sup>, 1<sup>3</sup>, 1<sup>4</sup>, 1<sup>5</sup>, 1<sup>6</sup>, 1<sup>8</sup>, 1<sup>9</sup> და 1<sup>10</sup> პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა).

**3. 8<sup>7</sup> პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8<sup>8</sup> პუნქტი:**

„8<sup>8</sup>. პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება შეჯამებულად საავადმყოფო ფურცელში მითითებულ თვეში (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) დღიური თანამდებობრივი სარგოსა და წელთა ნამსახურობის დანამატის გამრავლებით მოცემულ თვეში შრომისუნარობის გამო გაცდენილ კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“.

**4. 9<sup>3</sup> პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9<sup>4</sup> პუნქტი:**

„9<sup>4</sup>. ამ მუხლის 8<sup>8</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღიური თანამდებობრივი სარგოსა და წელთა ნამსახურობის დანამატის გამოთვლა ხდება თვიური შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი) გაყოფით შრომისუნარობის თვის (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი